სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 5 21 0000818730

25/08/2021

**სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2021 წლის 4 აგვისტოს №1.1/63 ბრძანების "2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ", საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირების, მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, 2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის, რომლებმაც სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მობილობის მსურველ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის შედეგად მოიპოვეს სტუ–ში მობილობის წესით ჩარიცხვის უფლება, განცხადების (დანართი 1) და თანდართული დოკუმენტაციის (დანართი 2) სტუ–ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის ელ ფოსტაზე study@gtu.ge ელექტრონულად ატვირთვის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 2 სექტემბრიდან – 10 სექტემბრის 17:00 საათამდე;

2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსს თ.წერეთელს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ს საქმის წარმოების დეპარტამენტის უფროსს ხ. სოსელიას;
4. დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების ადმინისტრაციას მოტივირებული დასკვნების მომზადება (დანართი 3) და შედეგების მობილობის მსურველთათვის გაცნობა არაუგვიანეს 2021 წლის 14 სექტემბრის 12 საათისა;
5. ფაკულტეტის მიერ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტის (დანართი 4) სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში წარდგენის ვადა განისაზღვროს არაუგვიანეს 2021 წლის 16 სექტემბრის 12 საათისა;
6. 2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ერთიანი ბრძანების პროექტის მომზადება და სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ელექტრონულად ასახვა უზრუნველყოს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2021 წლის 17 სექტემბრისა;
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს ლ.კლიმიაშვილს;
8. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვიცე–რექტორი
კლიმიაშვილი ლევან

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი

ბრძანება

MES 6 21 00001.1/63

04/08/2021

**N1.1/63**

**2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 55-ე და 57-ე მუხლების, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით განისაზღვროს შემდეგი ვადები:
**ა)** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (შემდგომში - მობილობის) მსურველ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს: **2021 წლის 16 აგვისტოდან - 2021 წლის 30 აგვისტოს 18.00 საათამდე.**
**ბ)** მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ელექტრონულად ასახვის ვადა განისაზღვროს: **2021 წლის 6 სექტემბრიდან - 2021 წლის 17 სექტემბრის ჩათვლით.**
2. **დაევალოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საგანმანათლებლო ინოვაციების და ტექნოლოგიების სამსახურს, ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსების გზით.**
3. ბრძანება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი. მე-12 კმ. №6), კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**საფუძველი:** სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბიზნესის ანალიზისა და პროექტების მართვის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის, უმაღლესი განათლების მიმართულებების მენეჯერის/ბიზნეს ანალიტიკოსის - სალომე ჯაფარიძის 2021 წლის 03 აგვისტოს N766678 სამსახურებრივი ბარათი.

სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
სისტემის უფროსი
ბერიძე დიმიტრი

*დანართი 4*

ბრძანების პროექტი

_____________________ ________________________________________ ფაკულტეტი

საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „______________________________“

| N | პირადი ნომ. | სახელი | გვარი | სასწავლებელი საიდანაც გადმოდის | სწავლების წელი | ჯგუფი | სტუ-ის მიერ აღიარებული კრედიტების რ-ბა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |

ფაკულტეტის დეკანი:

_______________ ____________________
ხელმოწერა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

_______________ ____________________
ხელმოწერა

ბ.ა.

*დანართი 1*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
რექტორს ბატონ დავით გურგენიძეს

____________________________________________

იმ უსდ-ს სრული დასახელება საიდანაც გადმოდის მობილობის მსურველი

სტუდენტის ___________________________________
სახელი, გვარი

განმცხადებლის პირადი N ____________________

საკონტაქტო ტელ:______________________

E-mail _________________________

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მობილობის მსურველ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის შედეგად მოვიპოვე მობილობის უფლება სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

გთხოვთ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მიღიაროთ ჩემს მიერ გავლილ სასწავლო კურსებში დაგროვილი კრედიტები და განმისაზღვროთ შესაბამისი სასწავლო წელი.

განმცხადებლის ხელმოწერა:________________________

განცხადების შევსების თარიღი: ______________________

*დანართი 3*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ვიცე–რექტორი _______________ ლ. კლიმიაშვილი

## დასკვნა

**სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ**

(სტუდენტთა გადმოყვანა-მობილობა)

| ინფორმაცია სტუდენტის შესახებ: | |
|---|---|
| სახელი და გვარი: | |
| სტუდენტის პირადი ნომერი: | |
| განათლების საფეხური: | ❑ ბაკალავრიატი ❑ მაგისტრატურა ❑ დოქტორანტურა |
| **ინფორმაცია გამომშვები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) შესახებ:** | |
| გამომშვები უსდ-ს დასახელება: | |
| გამომშვებ უსდ-ში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: | |
| უსდ-ში სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი: | |
| **ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ:** | |
| მიმღები ფაკულტეტის დასახელება: | |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: | |

**სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი:**

| საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ გამომშვებ უსდ-ში შესწავლილი საგნების ჩამონათვალი | სასწავლო კურსის მოცულობა, | | შენიშვნა | სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით) | სასწავლო კურსის მოცულობა, | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ECTS კრედიტი | აკადემიური საათი | | | ECTS კრედიტი | აკადემიური საათი |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |

| | |
|---|---|
| **გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის შესახებ:** | |
| სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში შესწავლილი საგნების რაოდენობა: | |
| სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში დაგროვილი კრედიტების რაოდენობა: | |
| მათ შორის სტუ -ს მიერ აღიარებული საგნების რაოდენობა: | |
| მათ შორის სტუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა: | |
| **დასკვნა:** | |
| ❑ რეკომენდირებულია გადმოყვანა | ❑ გადმოყვანა არ არის რეკომენდირებული |
| **შენიშვნა** | |
| ____________________ | |
| ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა: | |

ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი

| № | საგნის დასახელება | ECTS კრედიტი |
|---|---|---|
| | | |

სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: ______

სასწავლო პროცესების მართვის
დეპარტამენტის უფროსი:

______________ ______________
თ.წერეთელი ხელმოწერა

ფაკულტეტის დეკანი:

______________ ______________
ხელმოწერა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი:

______________ ______________
ხელმოწერა

ბ.ა.

*დანართი 2*

მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის).
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
4. პირად საქმეში არსებული ყველა ბრძანების (პირველადი ჩარიცხვის; სტატუსის შეჩერების/ აღდგენის/ შეწყვეტის) დამოწმებული ასლები;
5. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში);
6. ბაკალავრმა - საშუალო განათლების ატესტატის ასლი;

   მაგისტრანტმა - ბაკალავრის დიპლომის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ასლი;

   დოქტორანტმა – მაგისტრის დიპლომის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ასლი.